

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება №150/ნ
2015 წლის 25 ნოემბერი ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და
გამოცდების ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების
შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
2007 წლის 5 თებერვლის №93 ბრძანებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის
შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“
საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული
ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის №93 ბრძანებაში (სსმ III, 13.02.2007 წ., №20, მუხ. 229,
სარეგისტრაციო კოდი – 040.030.000.22.022.009.972) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ
ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს
დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ^ნ“ ქვეპუნქტი: „ლ^ნ) ცენტრის დირექტორის
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში
უზრუნველყოფს მისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში გამოყენებული
ტესტური დავალებების, პასუხების ფურცლებისა და სხვა მასალების განადგურებას,
გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა;“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი შარვაშიძე